5 მაისს შესრულდა გენიალური მოაზროვნის, მგზნებარე რევოლუციონერის კარლ მარქსის დაბადების 151 წლისთავი

5 მაისს ლენინურა ბეჭდვითი სიტყვის დღე

•

7 მაისი რადიოს დღეა

9 მაისი ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეა. დიდება საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მებრძოლი გუშაგი

„ჩეკისტი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი ადამიანი, რომელსაც აქვს განმჭრიახი გონება, მხურვალე გული და სუფთა ხელები".

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო

БОЕВОЙ СТРАЖ—ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 19 (2461). | ოთხშაბათი, 7 მაისი, 1969 წ. | გაზეთი გამოდის 1930 წლიდან. მისი პირველი სახელწოდებაა „წითელი მილიციელი". ● გამოცემის 39-ე წელი. | ფასი 4 კაპ.

ქვეყნის ნათელი დღესასწაული

მეგობრობა გზად და ხიდად



Реваз, здравствуй!
Сразу после полёта получил от тебя поздравление, а вчера и приглашение в гости. За то и другое большое спасибо!
У меня есть надежда побывать в Тбилиси (и если я там буду к тебе обязательно зайду). Но отпуск у меня уже прошел и сейчас возможности уехать из Москвы нет.
Желаю тебе самых больших успехов.
До свидания
22.IV.1969 г.

კალმით და მახვილით

შინაგან საქმეთა ორგანოების ცხოვრების ამსახველი მწერლების პირველი საკავშირო თათბირი

პატრიოტული ვალი

ინტერვიუ პოეტ ხუტა ბერულავასთან

□

დღეს მივულოცავ გაზეთ „მებრძოლი გუშაგის" ყველა მკითხველს. ვუსურვებ მათ დიდი წარმატებას თავიანთ პატრიოტულ საქმიანობაში, ბედნიერებას და ჯანმრთელობას პირად ცხოვრებაში.

საზოგადოებრიობასთან კავშირში

ამ უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად შემცირდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები (მათ შორის წვრილმანი ხულიგნობა) ქ. ... რაიონის ტერიტორიაზე. რაც შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკებსა და მოსახლეობას შორის სისტემატური და მჭიდრო კონტაქტის შედეგად იქნა მიღწეული.

ზ. შარაბიძე, „მგზნ"-ის კორ.

□

სახლი გადარჩენილია

შ. მეზღლოვი,
ქ. თბილისის პირველი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ათმეთაური.

პედაგოგი ამაყობს მისი აღზრდილი მილიციის მუშაკით

გული სიხარულით აივსო

სემინარი სამოქალაქო თავდაცვაზე

ახლახან, საქართველოს სსრ შსს მუშაკებმა, რომლებიც განაგებენ სამოქალაქო თავდაცვის საკითხებს, სამინისტროს სამმართველოებსა და განყოფილებებში ...

გვეხმარებიან წესრიგის დამცველები

ჩვენი გაზეთის რედაქციაში შემოვიდა ქ. თბილისში, ორჯონიკიძის ქ. № 4-ში მდებარე „ვანტრონმოვაჭრობის" № 8 მაღაზიის დირექტორის მოადგილის აშ. ი. ს. აკოფოვის წერილი. აი, რას გვატყობინებს იგი:

ახალი ამბები ფაქტები ქრონიკა

კომუნიზმის საქმისათვის ერთგულება, შრომის და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდა ყოველთვის იყო და არის პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

სკკპ პროგრამა გვავალებს, საბჭოთა ადამიანის შეგნებაში ღრმად დავნერგოთ და სახალხო ჩვევად გადავაქციოთ კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის ისეთი კეთილშობილური პრინციპები, როგორიცაა კეთილსინდისიერი შრომა საზოგადოების საკეთილდღეოდ, ზრუნვა სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის; საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი შეგნება, შეუწყნარებლობა უსამართლობისა და მუქთახორობისადმი.

ითვალისწინებენ რა ამ ამოცანების მნიშვნელობას, რაიონის პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან და აქტიურად ეხმარებიან ადმინისტრაციულ ორგანოებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, დანაშაულობათა აღკვეთის და მომხდარ დანაშაულობათა დროული გამოვლინების საქმეში.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა უკანასკნელ წლებში რამდენიმეჯერ შეისწავლა საკითხი რაიონში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის შესახებ და დასახა ღონისძიებანი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 12 აგვისტოს დადგენილების განხორციელებისათვის.

პარტიის რაიონული კომიტეტი მოითხოვდა პარტიული ორგანიზაციების, ადმინისტრაციული ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან მთელი ყურადღების მიმართვას საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის უზრუნველყოფისა და გაფლანგვა-დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერ- [illegible]

[illegible] შენიშნული იქნა საქმიანი წინადადებები და დაისახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა გე- [illegible]

რაიკომის მდივნის ტრიბუნა

ამოცანა — მართლწესრიგის განმტკიცება

ვლ. ქერძაძე,
საქართველოს კპ კასპის რაიკომის პირველი მდივანი

[illegible]

ერთგულად, დიდი პასუხისმგებლობით ასრულებენ თავიანთ სამსახურს ოჩამჩირის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკები. სანიმუშო წესრიგი სუფევს მუდამ რაიგანყოფილების [illegible] ოთახში.
სურათზე: მილიციის უმცროსი ლეიტენანტი ი. ლაკერბაია ცნობებს აწვდის უფროს სერჟანტებს ი. ბუტავას და ა. კვარაცხელიას.
ფოტო გ. მგალობლიშვილისა.

გაიმარჯვეს მეხანძრეთა კონკურსში

გაზეთ „მებრძოლი გუშაგის" მიმდინარე წლის 12 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული იყო წერილი სათაურით „ვინ გაიმარჯვებს დაოსტატებაში", რომელიც ეხებოდა ცეკავშირის გამგეობის სპეციალურ დადგენილებას რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ორგანიზაციებში მომსახურეთა სახანძრო რაზმეულების [illegible]

[illegible] ავტოსატრანსპორტო კანტორის დირექტორს ამხ. ა. სხირტლაძეს, [illegible] რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. ი. ალავერდაშვილსა და ორჯონიკიძის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. გ. ახაშიძეს მადლობა გამოუცხადეთ.

[illegible]

ზ. ბერიძე,
ცეკავშირის უფროსი ინჟინერი დაცვის დარგში.

პოლკის დაბადების დღე

ამ დღეებში ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს მოტომექანიზებული ცალკე ოპერატიული პოლკის ლენინის ოთახში გაიმართა საზეიმო შეკრება, რომელიც მიეძღვნა ამ საბრძოლო ქვედანაყოფის დაარსების მეშვიდე წლისთავს.

ლენინის ოთახში უხვად არის გამოფენილი ფოტოსტენდები და პლაკატები, რომლებიც ასახავენ დიდი ბელადის ცხოვრებასა და შემოქმედებას, მოგვითხრობენ პოლკის საბრძოლო გზაზე, მის მოწინავეებზე.

შეკრება გახსნა პოლკის მეთაურმა პოლკოვნიკმა მ. მურცხვალაძემ, სიტყვით გამოსულებმა — მაიორმა მ. ვადაჭკორიამ, მაიორმა ს. ბრიბოლიამ, ლეიტენანტმა ვ. ამბოკაძემ, ქვედანაყოფის მეთაურმა ბ. ხუბაშვილმა და სხვებმა დამსწრეთ მოუთხრეს იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს, რა უშლის ხელს მუშაობაში, მოუწოდეს პოლკის პირად შემადგენლობას ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

დახასიათება ჩატარდა დაჯილდოება. I, II, III ხარისხის მედლებით „შინაგან საქმეთა სამინისტროში უმწიკვლო მუშაობისათვის", „საბჭოთა მილიციის 50 წლისთავი", და სამკერდე ნიშნით „მილიციის წარჩინებული" დაჯილდოებული იქნენ დ. მალიშვილი, დ. ზისტაევი, ვ. ლაცვრიშვილი, დ. სიდუკაევი, ლ. ეგოროვი, ვ. ვადაჭკორია, ვ. ედიშერაშვილი და სხვები.

ც. გოლუბი.

ფოტო ავტორისა.

ჩვენი გაზეთის რედაქციას მოქალაქეებმა მიმართეს თხოვნით — განემარტათ მათ ნასამართლობის ინსტიტუტის მნიშვნელობა და მისი დაფარვისა და მოხსნის პირობები.

ამ საკითხების კომენტირება ჩვენ ვთხოვეთ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს უფროს კონსულტანტს, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატს გ. მოხეიძეს.

ნასამართლობის დაფარვა და მოხსნა

[illegible]

ოპერატიული ცოდნა — მასებს!

„02"

ოთხშაბათი, 2 მაისი, 1969 წ.

ორგანოს უფროსი

ემზადებიან საიუბილეოდ

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ღირსეულად აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიურად არიან ჩაბმულნი ხაშურის მშრომელთა დეპუტატების შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების თანამშრომლები.

ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურის სისტემატური კითხვით ისინი შეუნელებლივ იმაღლებენ თავიანთ იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონეს, რაც ხელს უწყობს მათ საპასუხისმგებლო მოვალეობის მაღალხარისხოვნად შესრულებაში.

აი, ისინი, ხაშურის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების საუკეთესო მუშაკები. (დგანან, მარცხნიდან მარჯვნივ): ზემდეგი — გელაშვილი, უბნის რწმუნებული, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ი. ბლიაძე, სერჟანტი ა. ბლიაძე, ზემდეგი ვ. თედიშვილი; (სხედან) უბნის რწმუნებული, მილიციის ლეიტენანტი ტ. ტაბატაძე და უფროსი სახელმწიფო ავტოინსპექტორი, კაპიტანი ი. ხაჩიძე.

ფოტო გ. მგალობლიშვილისა.

ცეცხლზე მიაქვთ იერიში

მიზანი — სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი

კეთილად მსჯავრდადებულთა შრომითი ჩვევები

კარგი ლონისძიება

ა. ახვლედიანი,
აჭარის ასსრ შს სამინისტროს პოლიტგანმზრდელობითი მუშაობის ჯგუფის ინსტრუქტორი.

„ქმოგაც" ასეთი უნდა

ზ. მესხიშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ... მდივანი.

კურორტზე სანიმუშო წესრიგი

ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთელ რიგ ღონისძიებათა გატარების შედეგად მკვეთრად იცვალა სახე დაბა წყნეთმა — გალამაზდა, გამწვანდა, კეთილმოეწყო ქუჩები და მოედნები. გასულ წელს 15.000 კაცმა დაისვენა წყნეთში, აღიდგინა ჯანმრთელობა. უფრო უკეთესი პირობები იქნება მომავალში.

საკურორტო სეზონში განსაკუთრებით საჭიროა წესრიგის დაცვა. ამ მიზნით, ყოველი სეზონის დაწყების წინ, წყნეთის სადაბო საბჭოს აღმასკომი თავის სხდომაზე იხილავს საკითხს, თუ როგორ ემზადება მილიციის ქვეგანყოფილება საკურორტო სეზონისათვის. და არა მარტო ამ დროს, კურორტის სადაბო საბჭოს აღმასკომი ხშირად ეხმარება მილიციის მუშაკებს საქმიანობაში, უწევს კონკრეტულ დახმარებას დასახული ამოცანის შესასრულებლად.

მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, დაბაში ჯერ კიდევ ბოგინობს წარსულის გადმონაშთები, როგორიცაა, ქილები, „ორმოცი", „წლისთავი" და სხვ. სწორედ ქელეხიდან შევიდა სასინკლეში, მიმდინარე წლის 25 იანვარს 10 საათზე, ქურდობისათვის ადრე სამართალში ნამყოფი ზურაბ კახელიშვილი. თავის ამფსონებთან ერთად მან „კარგად" დალია, ხოლო როცა გარეთ გამოვიდა „არ მოეწონა" თავისი ნათესავი ტარიელ მამაჭანოვი და „ანგარიშის გასწორება" დაუპირა. ტარიელი თავდაცვის მიზნით იქვე მდებარე სახლში შევარდა, მაგრამ იქაც გაედევნა კახელიშვილი, ამ უკანასკნელმა ისარგებლა მომენტით და... ტ. მამაჭანოვისაკენ მიმართულ დანას მებუფეტე ასიტოვი წამოეგო.

დღეჭელაქში ხშირად გაიგონებთ წყნეთში ყოველგვარ საქონელს იშოვითო, დაინტერესდნენ ამ ამბით ქვეგანყოფილების მუშაკები და მახარაძის ქ. № 9-ში მანია წინგვაშვილის სახლს მიადგნენ. რას იხატრებდით სულო და გულო, რომ აქ არ ყოფილიყო! ფეხსაცმელი, ტანსაცმელი — ქალისა თუ კაცისა, ბავშვისა თუ მოზრდილისა... მოკვდეს მანია, თუ მეტოქეობა არ გაუწიოს, რომელიც გნებავთ მაღაზიას, — იკვეხნიდა თურმე სპეკულანტი. მაგრამ კოეზი ნაცარში ჩაუვარდა მანიას, თავს დაადგნენ ქვეგანყოფილების უფროსი ოპერრწმუნებული ბეგლიაშვილი, უბნის რწმუნებული რუხაძე, სამსახურის ინსპექტორი ნაკოლაიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი...

მკაცრი ბრძოლა უქნარებს, ხულიგნებს, სპეკულანტებს, ყველა ჯურის დამნაშავეებს, სანიმუშო წესრიგი კურორტზე — ასეთი დევიზით ეხვდებით ქვეგანყოფილების მუშაკები ახალ საკურორტო სეზონს.

ზ. უანჩაშვილი,
ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მე-3 ქვეგანყოფილების უფროსი.

რედაქციაში შემოვიდა მკითხველთა წერილები, რომლებშიც ისინი თხოულობენ გავაგებინოთ თუ როგორ დაისაჯნენ ბოროტმოქმედები, რომლებმაც საშინელი დანაშაული ჩაიდინეს გუდაუთის რაიონის მიუხერის ნაკრძალში. ქვემოთ ვაქვეყნებთ კ. მეღლუმიანის წერილს ამ საკითხზე.

• •

რამდენიმე დღის სხდომის შემდეგ აფხაზეთის ასსრ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ საბოლოო განაჩენი გამოიტანა აფხაზეთის მკვიდრ შვიდ ადამიანს საზიზღარი დანაშაულის — ჯგუფური გაუპატიურების ჩადენისათვის.

ხალხი დაიქანცა, მაგრამ ადგილიდან ფეხს არავინ იცვლიდა. ყველას სურდა საკუთარი ყურით მოესმინა სასამართლოს გადაწყვეტილება. დარბაზი გაქვავდა. გაისმა თავმჯდომარის ფოლადივით ურყევი ხმა.

— ტარიელ კიაშინის ძე დზარი — სასამართლომ გცნოთ დამნაშავედ და გამოგიტანათ სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

— ვანო მურატის ძე ძიბა — სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა, როგორც მძიმე დანაშაულის ჩამდენს.

— ანატოლ შაიბის ძე ძიბა — ცნობილი ხართ დამნაშავედ და შეგეფარდებათ 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

— სვიატოსლავ ოსმანის ძე ბუნბა — 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

— აკმარ პარონის ძე ძიბა — ცნობილი ხართ დამნაშავედ და შეგეფარდებათ 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

— ანატოლ არუტანის ძე ძიბა — 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

— ლესიკ შაიბის ძე აშინბა — 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

...არის ხოლმე, როცა დანაშაულის ჩამდენი კაცის შეგნებამდის დადის დანაშაულის სიმძიმე და მას ბუნების გამბედაობისა და ღირსების გრძნობა საკუთარ თავს თვითონ გამოუტანის ამაზე მეტყველებს სასამართლო სხდომის ოქმის ჩანაწერებიც. აი, ზოგიერთი მათგანი: „...კარავში შეპყრობილი ყიზა ვანტი და ხუთი წლის გოგონას თანადასწრებით წაბილწა ბავშვის დედა. ეიზა კუმისმა გამოუყო ქალთან იძულებითი დაკავშირება და მხეცურად მოიკლა ცინი".

აი, ერთ-ერთი მამაკაცის ჩვენება... „სანტიკალ მცემეს. ფეხებში ჩამავლეს ხელები და კარავში შემათრიეს. შემდეგ მე უკრი მოვკალი, როგორ თქვა რომელიღაც კაცმა: „გაუშვი, უკურის..."

დაზარალებულთა წამებამ და ბავშ-

ნაძირალები

განაჩენი, დათმოს სიცოცხლე, რომ თავისი არსებობით ჩირქი არ მოსცხოს მას. მაგრამ ამის უნარი მხოლოდ იმას შესწევს, ვისაც დანაშაულის ჩადენის შემდეგ სინდისის ქენჯნის გრძნობა შერჩენია და არ ძალუძს საკუთარ თავს აპატიოს ჩადენილი ბოროტება.

ის ადამიანები, რომელთა სახელი და გვარებიც ჩვენ ზემოთ დავასახელეთ, ისეთთა ჯგუფს არ მიეკუთვნებიან, რომლებიც სალად განსჯიან თავიანთ ჩადენილ მოქმედებას. მათ სინდისის ქენჯნა არც მაშინ აწუხებდათ, როცა სამ მამაკაცს ცემდნენ და მათი ცოლები მცირეწლოვან ბავშვთა თვალწინ მხეცურად გააუპატიურეს, არც მაშინ, როცა მწუხარებისაგან გონდაკარგულ ქმრებს აიძულებდნენ ეყურებინათ ამ საზიზღარი მოქმედებისათვის.

ვების სიცოცხლემ შეიდი გამხეცებული ახალგაზრდის დაბნეულ ადამიანურ გრძნობებში უბრალო ბზარიც ვერ შეიტანა.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ იმ ავბედით დილას ტარიელ დზარი და ანატოლ ძიბა სწორედ იმ ტერიტორიაზე გამოჩნდნენ, სადაც დამსვენებლებს სამი კარავი გაეშალათ. მათ შენიშნეს საუზმეზე მსხდომი ქალები, მამაკაცები და ბავშვები და აი, ჩანს, სწორედ ამ იდილიურმა გარემომ გაუღვიძა მათ სხვისი ბედნიერების ჩაშხამების სურვილი და საშინელი გეგმაც.

დილის 8 საათზე ისინი კვლავ გამოჩნდნენ მიუხერის ნაკრძალის ველზე. მაგრამ ამჯერად მათ კიდევ ხუთი სხვა ახალგაზრდა ახლდათ. ისინი მთვრალები იყვნენ.

კარავში მყოფნი უძილოდ. აისხნდან ამოღებული უხეშად მიიპარებოდნენ სოფლებში, მძინარე ადამიანებს უსწრაფოდ ეცემოდნენ და სწვავდნენ სისხლს.

პირველად მათი როლები მკაცრი სიზუსტით იყო განაწილებული, მაგრამ შემდეგში ყველაფერი ერთმანეთში აირია.

ქალები გმინვით იბრძოდნენ, ყვიროდნენ, შველას ითხოვდნენ, ემუდარებოდნენ, მაგრამ ამათ იყო მათი ლაღად. გაისმოდა ბავშვთა ტირილი, ქალთა გმინვა. ბანდიტთა მუქარა, მაგრამ არავინ იყო ახლო-მახლო, არავინ მისულა საშველად.

მხოლოდ ერთმა შეძლო თავის დაღწევა. იდნაგი დრო იხელთა თუ არა ს.-მ., მაშინვე თავს უშველა. მალე მან ყველაფერი გუდაუთის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკებს აცნობა. ეს მაშინ მოხდა, როცა ორი ბანდიტი შეძახილებით ეფებოდა ანატოლი და ტარიელი. მათ ქალის გამო ჩხუბი ატეხეს. ამით მათ კიდევ ერთხელ აჩვენეს თავიანთი მხეცური სახე. და აი, დაზარალებულმა ს.-მ გასცა მათი საზიზღარი მოქმედება. განთიადისას მილიციის მუშაკებმა უფროსმა სერჟანტმა და. კოკოსკერიამ და სერჟანტმა დ. ბარციცმა დააკავეს ტარიელ ძიბა. ცოტაც და მილიციის მუშაკებმა მისი სხვა თანამზრახველების ვინაობაც დაადგინეს. დანარჩენი ტექნიკის საქმე იყო.

ოპერატიულმა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ აფხაზეთის ასსრ შსს საგამომძიებლო განყოფილების გამომძიებელი წურწუმია, გუდაუთის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე შ. მანია, ოპერრწმუნებული, ლეიტენანტი ვ. ბაზბა, უფროსი სერჟანტი დ. კოკოსკერია და სერჟანტი დ. ბარციცი, დააკავა დანარჩენი ბოროტმოქმედები.

ყოველ საბჭოთა ადამიანს სწყინს, რომ მის ზურგს უკან დგას უზიზღარი გუშაგი — მილიციის მუშაკი და მისი ღირსება დაცული იქნება. ტუტულად როდი ემუქრებოდა დაზარალებული ს. — ბანდიტებს პასუხს გაგებინებენ ამ ვერაგობისათვის, კანონს და მართლმსაჯულებას სიით ვიქცევითო.

მართლმსაჯულებამ თავისი მკაცრი სიტყვა თქვა.

კ. მეღლუმიანი,
„მგზნ"-ის სპეც. კორ.

სიახლე სახანძრო-გამოყენებითს სპორტში

ახლახან სსრ კავშირის სახანძრო-გამოყენებითი სპორტის ფედერაციის პრეზიდიუმმა განიხილა ადგილებიდან შემოსული წინადადებები შეჯიბრებათა წესების ზოგიერთი დებულების დაზუსტებისა და შეცვლის შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება მასში რიგი არსებითი ცვლილებებისა და დამატებების შეტანისათვის.

ამჟამად მდგომარეობა ასეთია:

ახლა უფროსი ასაკის მოზარდთა ჯგუფს მიეკუთვნებიან შეჯიბრების მონაწილენი, რომლებსაც 17 წელი შეუსრულდათ, ხოლო მოზრდილთა ჯგუფს — 18 წლისა და მეტი ასაკის მქონენი. შეჯიბრებიდან მისი მონაწილის მოხსნის უფლება მხოლოდ მთავარ მსაჯს გააჩნია.

შეცვლილია შეჯიბრების მონაწილეთა მთელი საბრძოლო ტანსაცმელი, აღჭურვილობა და ფეხსაცმელი. მოზრდილები შეჯიბრების ყველა სახეობაში უნდა გამოვიდნენ ბრიგადის ისეთი საბრძოლო ტანსაცმლითა და აღჭურვილობით, რომლებიც ყოველმხრივ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნებს. სტანდარტული სახანძრო მუზარადი უნდა იყოს ლითონის ან პლასტმასის ნაკეთობის, ჩექმები ნატურალური ან ხელოვნური ტყავისაგან და უშიპებო ქუსლებით. შეჯიბრების მონაწილეებს ბრიგადის საბრძოლო ტანსაცმლის გადაცმა შეუძლიათ ნებისმიერ სამსახურებრივ ფორმასა თუ სპორტულ საწვრთნელ კოსტუმზე.

სასწავლო კოშკზე გასაშლელი კიბის მიდგმა, მოხსნა და გადატანა ნებადართულია ნებისმიერი საშუალებებით. მაგრამ კოშკზე კიბის მიდგმის დროს ის უნდა დამაგრდეს მეშვიდე სართულზე და მესამე მუხლის ტეტივებით უნდა ეყრდნობოდეს ფანჯარას. სახანძრო ესტაფეტაში შეჯიბრების მონაწილეს, რომელიც იღებს ესტაფეტას, ნება ეძლევა გარბენი დაიწყოს 10 მეტრით ადრე, გადაცემის ზონის დაწყებამდის.

განშტოება უნდა მოეწყოს 55 მეტრზე, ხოლო შემომფარგვლელი ხაზი გაყვანილი უნდა იქნას მესამე ეტაპის სტარტიდან მე-60 მეტრზე. სათადარიგო ცეცხლმქრობები ესტაფეტას მეოთხე ეტაპზე უნდა დაიდგას 1,5 მეტრზე, ტაფის გვერდითა მხრიდან.

ორჭიდში შეჯიბრების ჩატარების პირობები ამიერიდან განისაზღვრება შეჯიბრებების დებულებით. ნებადართულია დაზეული სახელურები 100 მეტრიან ზოლსა და სახანძრო ესტაფეტას მესამე ეტაპზე ერთმანეთზე ან ერთმანეთის გვერდით დაწყობილ იქნას მჭიდროდ. განშტოება მიმაგრებული უნდა იქნას ამორტიზატორზე და განლაგდეს ისე, რომ ზედა კბილი დაყენებულ იქნას „პირველ საათზე" და სხვ. ხაიერიში შეჯიბრების დროს სასწავლო კოშკის მეორე, მესამე, მეოთხე სართულის ფანჯრის რაფები ფასადის შიდა მხრიდან უნდა იყოს 8 სმ სიბრტყით გამოწეული. მეორე სართულის ფანჯრის რაფის ზედაპირზე დამეცებული უნდა იქნას რეზინისებური ქსოვილის ფენა სახანძრო სახელურიდან, კოშკის ფასადის მხარეს კი ხის ძელი ჭრილით 8×8 სმ.

გასაშლელი კიბე სახანძრო ავტომობილზე უნდა დამაგრდეს პირველ სართულზე, ხოლო ავტომობილი ისე უნდა იქნას დაყენებული, რომ უკანა ბორბლების ღერძის პროექცია მოდიანზე ემთხვეოდეს სასტარტო ხაზს. ამასთან ერთად, შემოღებულია სახანძრო გამოყენებით სპორტში შეჯიბრებათა შედეგების ქულებით შეფასების განმტკიცებული, ახალი და უფრო ზუსტი ცხრილი.

მეხანძრე სპორტსმენთა, მწვრთნელების, მსაჯთა და უფროსთა შემადგენლობის ამოცანაა უმოკლეს ვადაში დეტალურად შეისწავლონ ეს ცვლილებები და დამატებანი, მკაცრად დაიცვან და იხელმძღვანელონ ამ დებულებებით სპორტსმენებისა და რაზმების მომზადების დროს, აგრეთვე თვით შეჯიბრებების ჩატარების დროსაც.

ი. არჩვაძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

მ ე ხ ვ ე დ რ ა მ ე ხ ა ნ ძ რ ე ე ბ თ ა ნ

ამას წინათ ქ. თბილისის № 1 გასამხედროებულ სახანძრო ნაწილს სტუმრები ეწვივნენ. ისინი სავსებით ახალგაზრდა მეხანძრეები. ნორჩ მოხალისეთა სახანძრო რაზმეულის წევრები, № 68, 70, 74 და 75 სკოლის მოსწავლეები იყვნენ, რომლებსაც რაისაბჭოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ლექტორები ამეცადინებდნენ. პროგრამის დამთავრების შემდეგ ისინი სახანძრო ნაწილში მოვიდნენ, რათა აემაღლებინათ თავიანთი ცოდნა სახანძრო საქმეში.

სტუმრები გულთბილად მიიღეს ქალაქის სახანძრო დაცვის უფროსმა ა. მამულაშვილმა, პირველი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსმა ა. არზუტოვმა, ოპერატიულმა მორიგემ მ. დოლიძემ, ყარაულის უფროსმა გ. სიმონოვმა და სხვა გამოცდილმა მუშაკებმა.

ნორჩ მოხალისეთა სახანძრო რაზმეულის წევრები ინტერესით ეცნობოდნენ მანქანებსა და აპარატურას, მრავალი შეკითხვა მისცეს სახანძრო დაცვის ძველ, გამოცდილ მუშაკებს, რომლებიც ამომწურავად პასუხობდნენ მათ კითხვებზე. მოსწავლეებს განსაკუთრებით მოეწონათ პრაქტიკული მეცადინეობა ქალაქ, მექანიზებული კიბით, სადისპეტჩერო რადიო-კავშირი, კოშკზე იერიშით ასვლა და სხვ.

მ. სიმსონოვიჩ,
მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის კიროვის რაისაბჭოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ლექტორი.

ბ რ ძ ო ლ ე ბ ი თ გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ე ბ ი ს ა კ ე ნ

მძიმე, მაგრამ სახელოვანი ცხოვრების გზა განვლო სამედიცინო სამსახურის მაიორმა, საქ. სსრ შსს სამედიცინო განყოფილების უფროსმა ინსპექტორმა ლია კლიმენტის ასულმა კარაბინმა.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებისთანავე მოხსენე 1943 წელს იგი გაწვეულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში.

ამ პერიოდიდან იწყება მისი საბრძოლო ბიოგრაფია: ფრონტი, სამსახური სამედიცინო-სანიტარულ ათასეულში. ჯერ ჩარიცხულ იქნა ქირურგიული ოცეულის ორდინატორად, შემდეგ კი მიმღებ-დამხარისხებელ ოცეულის მეთაურად დაინიშნა. იღებდა მონაწილეობას იასი-კიშინიოვის ოპერაციაში. 1944 წელს თავის კორპუსთან ერთად გადალახა დუნაი და უცხო შედგა რუმინეთის მიწაზე. შემდეგ ბულგარეთი, იუგოსლავია, უნგრეთი... იგი ვერ ივიწყებს იმ ამაღელვებელ დღეებს, როცა სხვადასხვა ეგებებოდნენ საბჭოთა მეომრებს ამ ქვეყნების ხალხები. საბარგო ავტომანქანებს, რომლითაც ისინი შედიოდნენ ქალაქებში, ხალხი ყვავილებს ესროდა.

ვინ მოსთვლის რამდენი ბრძოლის მოსწრე, რამდენი უძილო ღამე გაუტარებია, შიმშილი და სიცივე ატანია, მაგრამ სამშობლოსადმი სიყვარული სულს უდგამდა მას, უმატებდა ძალას და ენერგიას, შთაუნერგავდა გამარჯვების იმედს.

და აი დადგა ნანატრი დღეც, დადგა დიადი ბრძოლების დასასრული. ომის დამთავრებას ლია ბუდაპეშტში შეხვდა.

1946 წლის ზაფხულში „წითელი ვარსკვლავის" ორდენით და მედლებით მკერდდამშვენებული იგი დაბრუნდა სახლში. ამავე წელს დაიწყო მუშაობა საქ. შსს შრომა-გასწორების დაწესებულებების სამმართველოში — ექიმად.

ახალგაზრდა ოფიცერმა ჩვეული ენერგიით მოჰკიდა ხელი საპატიო სამსახურს — არანაკლებ საბრძოლოს. მან აქაც გამოიჩინა მოვალეობისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ რომელი დღე იყო მისთვის ყველაზე დაუვიწყარი და ბედნიერი, ლიამ გვიპასუხა: 1945 წლის 9 მაისი — გამარჯვების დღე, მსოფლიო ხალხების „მიხაკისფერი ჭირის" — ფაშიზმისაგან დახსნის დღე.

დიახ, მან, ვისაც ომი უნახავს, გამარჯვების დღე არასოდეს დაავიწყდება.

ლიას სწყურს ომი. იგი თავის ხმას უერთებს მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხების ხმას ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, რათა დედამიწაზე არასოდეს არ განმეორდეს ომის ტრაგედია.

კ. შარმაზიანი,
ჩვენი კორ.

• • •

სურათზე: ლ. კარაბინი.

ჩაქოლვა ძველ საქართველოში

ჩაქოლვა-ჩაქვავებას, როგორც მძიმე დანაშაულისათვის დაწესებულ სასჯელის უკიდურეს ზომას, ძველთაგანვე იყენებდნენ საქართველოში. სასჯელის ამ ზომის წარმოშობის საიდუმლოება ჯერ კიდევ გაურკვეველია. ფამნაშავის მიმართ ამ სასჯელის აღსრულების ბევრი ქვეყანა იყენებდა, რაც კარგად ჩანს ლიტერატურული ძეგლებსა და ახალ აღთქმებში.

ჩაქოლვის წესის სიძველეზე მეტყველებს გენიალური შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" 1102-ე სტროფი: „თქვა (ფატმანმან), ჩამქოლეთ მიდით ქვით მომადექით, მომკალით" უეჭველია XII საუკუნეში დაწერილ ამ ამბავს ფესვები მორეულ წარსულში აქვს, რაზედაც არსებობს როგორც პირდაპირი, ისე მიმანიშნებელი სხვა წყაროები.

რა დანაშაულისათვის იყო დაწესებული ჩაქოლვა ძველ საქართველოში და რა წესით სრულდებოდა იგი?

ჩაქოლვა-ჩაქვავება, როგორც სასჯელის უმაღლესი ზომა, ნახევრად ველური, ტანჯვის ხასიათის ატარებდა, რომელსაც გარდუვალად მოსდევდა ბოროტმოქმედის სიკვდილი. ამდენად მას მხოლოდ მძიმე დანაშაულის დროს იყენებდნენ — როგორიცაა: ზნეობის ნორმების დარღვევა, ქურდობა, სქესობრივი კავშირი ახლო ნათესავებთან, ...შორის მყოფ პირებს შორის, ცოლისწამება, რისაც თვითმკვლელობა, ან მკვლელობა მოსდევდა, სჯულ-საგვარეულოს ღალატი და სხვა.

ჩაქოლვა სრულდებოდა საჯაროდ, სოფლის უხუცეს-თავკაცთა უფროსობით. ველების ნაპირს მაგზე თავს იყრიდა სოფლის მთელი მოსახლეობა. სავალდებულო იყო ყველა იმათი გამოცხადება, ვისაც თავისი ფეხით მიესვლებოდა დანაშაულის ადგილას. შემოწლებულ გორაკზე შეკრებილთ თემის უხუცესი წევრი აცნობდა დანაშაულის არსს, დამნაშავე პიროვნების ვინაობის ამბავს და მიუწოდებდა დამსწრეებს თითო ქვა ესროლათ ბოროტმოქმედისათვის. პირველად დანაშაულის მოწმეებს უნდა გაესროლათ ქვები, ხოლო შემდეგ ამ პროცედურას არსულებდა მთელი სოფელი, ჩაქოლვის ადგილზე ხვქონდა ჩნდებოდა.

გავიდოდა დრო. ყოველი შემთხვევით გამვლელი მოვალე იყო ერთი ქვა მიეგდო ჩაქოლვის ბექობ-სალოცავზე მისდამი ზიზღის გამოსახატავად. ეს იყო რამდენ ასეთ საცელავს თვლის ჩვენი მიწა-წყალი, როგორც გარდასული უზნეობისა და სოციალური უკეთურობის სიმბოლოს.

როგორც ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, მწერალი და ეთნოგრაფი თედო სახოკია აღნიშნავს, ჩაქოლვა სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა დროს გადავარდნილა. წარსულის ამ ღირსულ მემატიანეს აღწერილი აქვს შემთხვევა, რომელიც XIX საუკუნეში ქართლის სოფელ ჩრდილში, კავთისხევთან მომხდარა. ერთი ქალი ჩაუქოლიათ ხალხს იმისათვის, რომ მას ნათლია შეუყვარებია. ეს მოქმედება საზოგადოების ზნეობის კანონის მძიმე დარღვევად ჩაუთვლია, რომლის სასჯელის უმაღლეს ზომას იმსახურებდა.

1905 წელს, იმავე ავტორის გადმოცემით, თელავში ერთი ყმაწვილი ჩაუქოლიათ ქურდობის ჩადენისათვის. როგორც ზემოთ ცნობილი მონაცემები მოგვეცემს, კახეთში, ბაკურციხეში მომხდარა ბოლო ცნობილი ჩაქოლვა 1918 წელს.

ოქტომბრის რევოლუციამდე, რუსეთის იმპერიაში ბრალდების გამო სასჯელის ზომად გამოყენებული. ლენინისეული წარმოდგენა უფრო მეტად დამნაშავის მიმართ სამეგობრო გადაზრდის იარაღს, უფრო ჰუმანიზმით ხასიათის მოქმედებას.

საბჭოთა მართლმსაჯულების თვალსაზრისით კი, სასჯელის ზომა სოციალური დაცვის ისეთი ღონისძიებაა, რომელიც თავისი სამართლით მიმართულია მხოლოდ ადამიანის ხელახლა აღზრდისა და კომუნისტური შეგნებულობის საქმეში მისი აქტიური ჩაბმისაკენ.

ნ. ბერულავა,
პედაგოგი.

სადურგლო სახელოსნოში

დრამა სადურგლო სახელოსნოში გათამაშდა, როდესაც ინსპექტორი ვერნერი შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა, თავს წარდგა შენობის შესასვლელად დაუდებულ ინსპექტორს ჯვამს. შესასვლელთან მეზობლები შეჯგუფულიყვნენ. მათ ინსპექტორს მოახსენეს, რომ ისტატი თავის შეგირდს წაეჩხუბა. მას აგრეთვე მრავალი ცნობა მიაწოდეს მოკლულის შესახებ, რომელსაც ამ სახელში კარგახანია ჰქონდა გახსნილი თავისი სახელოსნო.

ოსტატი მოკლული იყო ლეიბის ...

დანის ჩარტყმით. შეგირდმა განაცხადა, რომ გვამი ისევე დევს, როგორც იგი დარტყმის შემდეგ დაეცა. მას შემდეგ იგი ცხედარს არ შეეხებია. იგი ინვა პირქვე, მარჯვენა ხელი თავქვეშ ჰქონდა ამოდებული, ხოლო გასახსნელად ნახევრადგახსნილ ხელის გულზე მძიმე ჩაქუჩის სახელური იდო.

— მე თავდაცვის მიზნით ვიმოქმედებდი, — ამბობდა შეგირდი, — ოსტატი ხშირად ხვამდა და ჩხუბობდა. დღეს კი თავს დამესხა და ჩაქუჩით უნდოდა თავი გაეტეხა. ჩემთვის, მე დანა ავიღე, რათა თავი დამეცვა... ცხადია მისი მოკვლა არ მსურდა, მაგრამ, სამწუხაროდ, დანა შემთხვევით მოხვდა ასე სახიფათოდ.

— სიმართლეა, რომ უფრო, სადაც ოსტატი დუღს ინახავდა, გატეხილი და ცარიელია, — თქვა ინსპექტორმა, — და კიდევ ერთი გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ თქვენ თავდაცვის მიზნით არ მოქმედებდით.

რა გარემოებაა ეს?

• • •

ამ მკითხველთა გვარები, რომლებიც სწორ პასუხებს გამოგზავნიან, გამოქვეყნდება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

„რატომ ფიქრობდა ასე?"

გაზეთ „მებრძოლ გუშაგში" (№ 11) გამოქვეყნებული ამოცანის პასუხი:

ვილტორს რომ პოლდორფის მხარეს მიმავალი მანქანა გაესწრებინა, შოგ მხედომებს კი იქიდან გადმოხედვით გვამი, იგი გზატკეცილის იმ მხარეზე დაეცემოდა, რომელზედაც სერჟანტი მიდიოდა. სერჟანტმა კი გადაჰკრა გზატკეცილი, რომ დაცემულთან მისულიყო.

• • •

სწორი პასუხები გამოგზავნეს: ...მაშიტაშვილმა, ა. არუთინოვმა, პ. რაბსაისნოვმა, ს. კელასოვმა, ა. ლამბეევმა, ა. ცხვარაძემ, ზ. ცინცაძემ, ვ. გობეჯიშვილმა, ა. შელიამ, გ. მიქიაშვილმა, გ. კარტენიძემ, ვ. გაბრიშვილმა, გ. კაცუბაძემ, პ. მხეჯნიშვილმა, გ. შარაბიძემ, დ. უტმბეგაშვილმა, ა. მალთაურმა, ნ. ივანეისამა, რ. მინდორაშვილმა, რ. ყიფშიძემ, ი. კორნეევმა, ა. ხუდადოვმა, კ. სარქისიანმა, ე. ეგეიაზაროვმა, ლ. ანანტასოვმა, ა. მოთარსყამ, ო. ოლეინიკოვმა, ვ. დულუკიძემ, ა. ძოწენიძემ, ა. დავითიანმა, ა. ხოთაძემ, გ. მამულაშვილმა, ვ. უამიერაშვილმა, ვ. ქუბლაშვილმა, გ. გულაშვილმა, ტ. აბულაშვილმა, ზ. მგალობლიშვილმა — თბილისი; შ. ხარაზიშვილმა, ზ. გოგიბერიძემ, ნ. ბაბძელაძემ, ზ. ჭიჭავაძემ, გ. ნაცვლიშვილმა, მ. აბასოვმა, გ. გორგაძემ — ბათუმი; შ. მგალობლიშვილმა, რ. სილაგავამ, რ. ჭოპუამ, გ. ბარბოთანეცამ — სოხუმი; მ. კუხალეიშვილმა, რ. ლატარიამ — ზუგდიდი; ბ. ხვედელიძემ, ნ. ალადაშვილმა, გ. წერეთელიშვილმა, ლ. ნაჭყებიამ, ი. შეყერმა, გ. მინდორაშვილმა, ა. ბახლიძემ — რუსთავი; მ. თუთბერიძემ, მ. ურნიკაძემ — ქუთაისი; ლ. აბრამიშვილმა, შ. ლაცაბიძემ, ა. ფანჩულიძემ, ს. კოკლაშვილმა — ლაგოდეხი; შ. გაბრიჩიძემ, ლ. ხვანჩიამ — გაგრა; ს. ყალბაღიამ, ნ. ღიბაძემ — ხაშური; გ. ესიაშვილმა, ბ. ოქროპირიდოშვილმა, — საგარეჯო; დ. კაქაძემ, ტ. ბრეგაძემ, ბ. მელნიკიძემ — ზესტაფონი; რ. რუსიძემ — ლანჩხუთი; ა. ბრატკოვმა — გარდაბანი; ლ. ბუკიამ — ვულრიფში; ა. ოვაშვილმა — მცხეთა; გ. კოპაძემ — ხაშური; ა. გოგშელიძემ — გუდაუთა; ვ. ლომიძემ — ბორჯომი; ლ. მანჯავი — სამტრედია; ვ. ივეტისიანმა — ახალქალაქი; ა. ცქრიალაშვილმა — გორი; ზ. კუხიშვილმა — გურჯაანი; გ. ბარბაქაძემ — ხაშური; ვ. სმირნოვმა — ბოგდანოვკა; შ. ოსკოვმა, — თეთრი წყარო; ტ. შათშვილმა — ყვარელი; ვ. კაცაძემ — პატარაძე; მ. ბერიძემ — ქედა; ნ. მაზმიშვილმა — ჩხოროწყუ; ა. ჯინჯიხაშვილმა — სიღნაღი; ზ. ალბაზაშვილმა — წითელწყარო; ნ. ალოვევამ — დმანისი; მ. ტაბაღუამ — ფოთი; დ. სხიაკელაშვილმა — კასპი.

შერლოკ ჰოლმსის კლუბი

მე მივაგნ ჩემი მილიცია

ნივთები დაიბრუნეს

ამას წინათ რედაქციაში შემოვიდა „ნოვორისცემენტის" კომბინატის იურისკონსულტის ლუდმილა პენი... წერილი:

...ბული სადგურ თბილისის მილიციის სამორიგეო ოთახს მივაშურე და მორიგეს, მაიორ ს. დავლიანიძეს დახმარება ვთხოვე. მან დამაწყნარა, დარეკა ნაძალადევის ნივთების ბიუროში, გამოძახა მორიგე მილიციელი და იმედი მომცა, რომ ყველა ზომას მიიღებდა... ბის ახლები, მილიციის მოწმობა, მინდობილობა და სხვა საბუთები მეწყო. ჩემთვის „ბათუმი-თბილისის" № 251 მატარებელში დამრჩა და მისი დაკარგვა მხოლოდ მაშინ შევიტყვე, როცა თბილისის სადგურის შენობიდან გამოვედი.

ძალზე აღელვებული და შეწუხე...

აფიშა · რეკლამა · დოსიე

თეატრი

ამ კვირას თბილისის თეატრებში შეგიძლიათ ნახოთ შემდეგი სპექტაკლები: ლენინის ორდენოსანი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი:

9 მაისს „ბებერი მეზურნეები", პიესის ავტორი მ. ელიოზიშვილი, დამდგმელი რეჟისორი სსრკ სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ა. ჩხარტიშვილი. მთავარ როლებს ასრულებენ მსახიობები ს. ზაქარიაძე, დ. ჩხეიძე.

11 მაისს — „მზიანი ღამე". პიესის ავტორი ნ. დუმბაძე, დადგმა რ. სტურუასი. მთავარ როლებს ასრულებენ ...

შოთას წოთელი დროშის ორდენოსანი კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი:

7 მაისს — „ყვარყვარე თუთაბერი" — პიესის ავტორი პ. კაკაბაძე, დამდგმელი რეჟისორი ა. ქუთათელაძე ...

11 მაისს — „მოვარის მოტაცება" — კ. გამსახურდიას რომანის მიხედვით ...

გ. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრი:

9 მაისს — „ჩაჩნიან ქორწილი" ...

კინო

...

ფირიმში წარმოდგენა „... თბილისის 24-25 ...

...თბილისი საბჭოთა ჩეკისტების მუშაობის შესახებ.

ჟიუპი ფილმიდან „24-25 არ ... ბრუნდება".

რედაქტორი ვლ. ალფაიძე.

ჩვენი მისამართი: ...

ტელეფონები: რედაქტორი — 9-91-47-82, ... 9-91-43-31.

განცხადებები:

„შკმ"

ოთხშაბათი, 7 მაისი, 1969 წ.